17 ოქტომბერი, კვირა

IV სხდომა **სიმპოზიუმი, მიღწეული პროფესორ იოსებ კვაჭაძის (1925-1993) ხსენისადმი თავმჯდომარეები: ნ. უბერი, გ. ჩახუნაშვილი** 11.00-11.20 - პროფესორ იოსებ კვაჭაძის ცხოვრების გზა - **გ. ჩახუნაშვილი, ნ. ბადრიანიშვილი** 11.20-11.40 - პროფესორ იოსებ კვაჭაძის ღვაწლი პედიატრიაში - **ნ. უბერი** 11.40-12.00 - მოგონებები

თამაზ მარინაშვილი

ცნობილ მეცნიერს, პედიატრს, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პოსტიპულური პედიატრიის კათედრის გამგეს, პედიატრთა მსოფლიო ასოციაციის პრეზიდენტის წევრს, საქართველოს პედიატრთა ასოციაციის პრეზიდენტს, მეცნიერების დამსახურებულ მოღვაწეს, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ იოსებ კვაჭაძეს დღეს 85 წელი შეუსრულდებოდა.

საოცარ დროს დაემთხვა ბატონ იოსების სტუდენტობის წლები. თამამად შეიძლება ითქვას, რომ მსოფლიოს არცერთ ქალაქში არ იგრძნობოდა ნიჭის ისეთი მოზღვავება, როგორც 40-იანი წლების თბილისში. თავად განსაჯეთ: თბილისის ქუჩებში დაბიჯებდნენ გალაკტიონი და კონსტანტინე გამსახურდია, ოპერის სცენაზე ცეცხლოვან ცეკვას ასრულებდა ცეკვის ჯადოქარი ვახტანგ ჭაბუკიანი, რუსთაველის თეატრის სცენიდან გაისმოდა აკაკი ხორავას მგრგინავი ხმა, ფეხბურთის მოედანზე კი მაყურებელი აღტაცებაში მოჰყავდა „ფეხბურთის კარუსოს“ ბორის პაიჭაძეს.

ბედმა შემდგომაც გაანებოვრა: თანამებრძოლებად მიუჩინა ბრწყინვალე ქართველი პედიატრები - ირაკლი ფაღვალი, ირაკლი რცხილაძე, გურამ ნიჟარაძე, ნოდარ ხერხეულიძე, გივი ჟვანია.

მათ საოცრად ბევრი გააკეთეს ქართული პედიატრიის განვითარებისათვის, ქართველ პედიატრთა შეკავშირებისათვის, როგორც ღირსეულ მეგობრებს შეჰყვართ, ვალდებულნი იყვნენ უწყურად დატოვებულ ქვეყანა და დარჩა კვალი ნათელი.

ბატონი იოსები დაიბადა ლანჩხუთის რაიონის სოფელ ღვინაში. უნებურად გახსენდება ფრანგების საყვარელი გამოთქმა: „კენოსები იბადებიან საფრანგეთის სოფლებში, ხოლო იმარხებიან პერლაშის სასაფლაოზე“.

ჩვენს შორის აღარაა კაცი პირმართალი და უხარბო, რომელმაც გაიარა სახელოვანი გზა უბნის ექიმობიდან მსოფლიო სახელის მქონე მეცნიერამდე. მასში პარმონიულად იყო შერწყმული დიდი სიყვარული პრაქტიკული პედიატრიისა და მეცნიერული მუშაობისადმი.

ჩვენს ბავშვებს მოაკლდა დიდი პედიატრის მოუღლევი მარჯვენა და მხურვალე გული, სამედიცინო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებს და სტუდენტებს - შესანიშნავი მეცნიერი, პედაგოგი და მჭკერმეტყველი ლექტორი, ამხანაგების წრეს - თავდადებული მეგობარი, ქართულ სუფრას - სწორუპოვარი თამადა, ოჯახს - უად-

რესად ერთგული და მოსიყვარული მეუღლე, მამა და ბაბუა. პროფესორი ი. კვაჭაძე იყო ფართო დიაპაზონის მკვლევარი. მას არაერთხელ განუცდია მეცნიერული კვლევისა და სიხლის მიგნების სიხარული. იგი ითვლება თანდაყოლილი ინფექციების, სამედიცინო გენეტიკის, შემავრთველი ქსოვილის დიფუზიური დაავადებების! ნივთიერებათა ცვლის მემკვიდრეობითი მოშლილობით შეპყრობილ ავადმყოფთა შესწავლის პიონერად ჩვენს რესპუბლიკაში.

ჭეშმარიტად საოცარია მისი შრომისმოყვარეობა და პროფესიისადმი ფანატიკური სიყვარული. იგი იყო 254 სამეცნიერო შრომის ავტორი, მათ შორის 10 მონოგრაფიისა. მისი შრომები გამოქვეყნებულია, როგორც ჩვენთან, ისე საზღვარგა-

რითადი თვისება კაცთმოყვარეობა და ჰუმანიზმი გახლდათ და პაციენტებიც თავს ეხვეოდნენ ბატონ იოსებს. ის თავის



აღარებენ რაღაც ლოგარითმების ცხრილს და განკურნავენ ავადმყოფს ერთადერთი აბით და მაინც, თუ მე გაეხდები ავად,

როგორ იხსენებდნენ მას თავისი მეგობრები



მოღვაწეობით ხაზს უსვამდა იმ ფაქტს, რომ ავადმყოფთან ექიმის ურთიერთობაში იყო და მუდამ დარჩება წმინდა ადამიანი სითბო და სიყვარული. ლექციებზე ხშირად იმეორებდა სენტ-ეკუპერის სიტყვებს: -„მე მჭამს, დადგება დღე, როდესაც ვინ იცის რით დაავადებულ ავადმყოფი მოხვდება ფიზიკოსთა ხელში, რომლებიც არ ჰკითხავენ მას არაფერს, აუღებენ სისხლს, გამოიყვანენ რაღაც მუდმივებს, გადაამრავლებენ ერთს მეორეზე, შემდეგ შე-

მივმართავ რომელიმე ძველ ექიმს, იგი შემომხედავს ცერად, გამისინჯავს მახას მუცელს, მომისმენს და გამიღიმებს... რომ უკეთესად მოვერიო „ტკივილს“. ბატონ იოსებს „ღია კარის“ დღეს 10.000-ზე მეტი პაციენტი ჰყავდა უფასოდ მიღებული. მისთვის უცხო იყო პირადი კონიუქტიურა. ეხლაც თვალწინ მიდგას თუ რა რუღუნებით ეპყრობოდა თანდაყოლილი ტოქსოპლაზმოზით შეპყრობილი ინვალიდ ბავშვებს, საათობით ესაუბრებოდა მათ მშობლებს. ბევრისათვის მატერიალური დახმარებაც გაუწევია. თუმცა თვითონ მატერიალურად არასოდეს არ უღხინდა. დიდი ბატონ იოსების დამსახურება ამ პათოლოგიის შესწავლაში. მან 1969 წელს ბატონ მირიან ქუჩუკაშვილთან და თამაზ მირიანაშვილთან ერთად, საქართვე-

ლოში პირველად პიდროცევალით და დაუნის დაავადებით შეპყრობილ ახალშობილის ზურგის ტვინის სითხეში გამოიყო პარაზიტი ტოქსოპლაზმა გონდი.

ბატონმა იოსებმა შეიმუშავა თანდაყოლილი ტოქსოპლაზმოზის მკურნალობის და ტოქსოპლაზმოზით დაავადებულ ორსულ ქალთა პროფილაქტიკის ორიგინალური სქემები, რითაც მრავალი ბავშვი იხსნა ინვალიდობისა, ხოლო ქალი უნაყოფობისა და მახინჯი ბავშვის ყოლის მწარე ხვედრისგან. მისმა შრომამ „დაუნის დაავადება და თანდაყოლილი ტოქსოპლაზმოზი“, როგორც სამაშულო, ისე საზღვარგარეთის პრესის ყურადღება მიიპყრო. კერძოდ, იგი ინგლისურ ენაზე დაისტამბა 1974 წელს ბუენოს-აირესში გამართულ პედიატრთა მსოფლიო XIV კონგრესის მასალებში.

თანდაყოლილი ინფექციების შესწავლისას ბევრი წინააღმდეგობის გადალახვა მოგვიხდა. ექიმთა ფართო წრეებს არ სწამდათ ამ პრობლემის აქტუალობა.

და რაოდენ სამწუხაროა, რომ პროფესორი ი.კვაჭაძე ვერ მოესწრო თანდაყოლილი ინფექციების ბუმს, რომელმაც ამჟამად მთელი მსოფლიო მიიღვა. ახალშობილთა ავადობასა და ლეტალობაში წამვანი ადგილი დაიკავა ქლამიდიამ, ტრიქომონამ, ჰერპეს ვირუსმა და სხვა.

უკანასკნელ წლებში დადგინდა, რომ შიდსის ვირუსი თვითონ არ კლავს ადამიანს. სიკვდილი ვითარდება მეორადი ოპორტუნისტული დაავადების შედეგად. ოპორტუნისტულ დაავადებებში კი პნემოციტოზი კარინის შემდეგ მეორე ადგილი ტოქსოპლაზმოზს უკავია. მეცნიერები დღეისათვის მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ შიდსის პროფილაქტიკა ესაა ბრძოლა მიმართული ოპორტუნისტული დაავადების წინააღმდეგ.

რეტროსპექტულად თუ გავაანალიზებთ, თანდაყოლილი ინფექციების როლის შეფასებაში, ბატონმა იოსებმა რამდენიმე ათეული წლით გაუსწრო მონაწილე ქვეყნების მეცნიერებს.

1972 წლიდან კათედრაზე დაიწყო რეგულარული ჯგუფის დაავადებათა კლინიკის, იმუნოლოგიის და იმუნოგენეტიკის საკითხების შესწავლა. შრომები შესრულდა რუსეთის და ევროპის მოწინავე ქვეყნების მეცნიერ-რეგულარულ მეგობრებთან ერთად. ამ საკითხზე გამოქვეყნებულმა რამდენიმე შრომამ საერთაშორისო რეზონანსი ჰპოვა. კერძოდ, შრომები, რომლებიც მიეძღვნა დნმ-ს და რნმ-ის მიმართ ანტისხეულების ტიტრის განსაზღვრას სისტემური წითელი მგლურათი და რეკმ-ტოიდული ართრიტით დაავადებულ ბავშვებში და მათი პირველი რიგის ნათესავებში გა-

მე-13 პერიდიკა

გრძელდებოდა. ჩვენი თანამშრომელი თამაზ მარინაშვილი (ჩვენი ჩინხინის შემდეგ) სთხოვდა ბატონ სოსოს სხდომის დღის შეცვლას, მაგრამ ამას თვითონ კვირასაც მუშაობდა და თითქოს ჩქარობდა ყველაფრის მოსწრებას. დღევანდელი გადმოსახედიდან ახლა ვფიქრობ, რომ ეს იყო კიდევ ერთი ხერხი კათედრის წევრების დაახლოებისა. ჩვენი კათედრა ერთი დიდი ოჯახი იყო. სამსახურში მისვლა კიდევ იმიტომ გვიხაროდა, რომ ერთმანეთს ვნახულობდით, ერთმანეთის ჭირ-ვარამს ვიზიარებდით, ვიკრიბებოდით მიზეზით თუ უმიზეზოდ და ამ დიდი ოჯახის თავეში – ბატონი იოსები იდგა. მან არაჩვეულებრივად იცოდა გვერდში დგომა, როცა პრობლემა ან გასაჭირი გვექონდა. იგი ყველა ჩვენი სუფრის უზადო თამადა იყო. არაჩვეულებრივად განათლებული, საქართველოს ისტორიის კარგი მცოდნე, ლიტერატურის დიდი მოყვარული და მეხობე.

მას კიდევ ბევრის გაკეთება შეეძლო, ჰქონდა დიდი პოტენციალი, მაგრამ არ დასცადა. მახსოვს საავადმყოფოში მივედი სანახავედ, არ იყო კარგად, არ მომეწონა, საწოლზე ქაღალდები ჰქონდა გაშლილი. მონოგრაფიის „ბავშვთა დაავადებები“, თავებს ალაგებდა (სამწუხაროდ ვერ მოესწრო მის გამოსვლას), დახმარება შეეთავაზე, მაგრამ უარი მითხრა – მე თვითონ. ამის შემდეგ მისი ჯანმრთელობა ძლიერ შეირყა. მართალია, გამოვიდა სამსახურში, თითქოს ცდილობდა დაბრუნებოდა ჩვეულ რითმს, მაგრამ ეტყობოდა, რომ მიღებულმა ფსიქოლოგიურმა ტრავმამ გამოუსწორებელი ზიანი მიაყენა და წააქცია ბერძენს...

მონოგრაფიაში „ბავშვთა დაავადებები“ ბატონ იოსებს მოჰყავს დიდი მწერლისა და ექიმის

ა. ჩხევიძის სიტყვები: „ექიმის პროფესია - გმირობაა. იგი მოითხოვს თავდადებას, სულის სიწმინდესა და ნათელ აზროვნებას“. ჭეშმარიტად ამ თვისებების მატარებელი იყო ბატონი იოსები კვაჭაძე.



2010 წლის 31 ოქტომბერს სრულდება 85 წელი გამოჩენილი ქართველი მამულიშვილის, ექიმ პედიატრის იოსებ მახარობლის-ძე კვაჭაძის დაბადებიდან. ის იყო უდიდესი კლინიკისტი, მეცნიერი, პედაგოგი.

პროფესორი იოსებ კვაჭაძე (სხოვრია და შემოქმედებითი მოღვაწეობა)

ბ. ჩახუნაშვილი, ი. კორინთელი, ნ. ბაგრატიანი

კათედრაზე 18 საკანდიდატო და ერთი სადოქტორო დისერტაცია. იგი იყო ავტორი 300 სამეცნიერო შრომის, რომლებიც გამოქვეყნებულია როგორც საქართველოში ასევე უცხოეთში: ბუნოს-აირესი, მეხიკო, პარიზი, ლონდონი, მონტეკარლო, პრავა, ლუბოვნიკი, ჟენევა, ბუდაპეშტი, ჯაკარტა, მოსკოვი, სანკტპეტერბურგი და სხვა.

პროფესორ იოსებ კვაჭაძის სამეცნიერო კვლევები შეეხებოდა იმუნოლოგიის, იმუნოგენეტიკის, სხვადასხვა დაავადებათა კლინიკის, დიაგნოსტიკის და მკურნალობის საკითხებს.

მის მიერ პირველად საქართველოში შესწავლილია ტოქსოპლაზმოზი, თანდაყოლილი ინფექციები, ნაწლავთა შეწოვის ფუნქციის დარღვევით მიმდინარე დაავადებები: მუკოვისციდიოზი, ცელიაკია, ექსუდაციური ენტეროპათია, დისაქარიდული უკმარისობა, იმუნოდეფიციტის სინდრომით მიმდინარე პათოლოგიები, დაუნის სინდრომი, მის მიერ აღწერილია სხვადასხვა თანდაყოლილი და მემკვიდრული დაავადებები.

პროფესორ იოსებ კვაჭაძეს უდიდესი ღვაწლი მიუძღვის

რეგმატიზმისა და შემავრთი ქსოვილი დიფუზური დაზიანებით მიმდინარე დაავადებათა ეპიდემიოლოგიის, კლინიკის, იმუნური ასპექტებისა და მკურნალობის საკითხების შესწავლაში.

იგი არის 10 მონოგრაფიის ავტორი. მისი სახელმძღვანელო „ბავშვთა დაავადებანი“ ექიმთა და სტუდენტთა სამაგიდო წიგნია.

იოსებ კვაჭაძე იყო ინიციატორი და ხელმძღვანელი საქართველოს პედიატრთა პირველი ყრილობის. იგი მონაწილეობდა მრავალ საერთაშორისო კონგრესში, იყო მსოფლიოს ბავშვთა საზოგადოების საპატიო წევრი, საქართველოს პედიატრთა ასოციაციის პრეზიდენტი, საქართველოს რეგმატიოლოგთა ასოციაციის ვიცე პრეზიდენტი, საკავშირო სამედიცინო ჟურნალების რედაქციის წევრი.

პროფესორი იოსებ კვაჭაძე გარდაიცვალა 1993 წელს.

თავისი მრავალმხრივი სამეცნიერო, პედაგოგიური, კლინიკური, საზოგადოებრივი, მოქალაქეობრივი მოღვაწეობით უდიდესი წვლილი შეიტანა ქართული პედიატრიის განვითარებაში.

პროფესორი ავთანდილ კვებორელი-კოჭაძე იხსენებს



ქართული პედიატრიის ბერძენულ ბატონი იოსები კვაჭაძე ადამიანთა იმ კატეგორიას მიკუთვნებდა, რომელნიც საზოგადოებისათვის ორიენტირები, მისაბამი პიროვნებები არიან. მრავალფეროვანი იყო მისი პროფესიონალური შემოქმედება, რომელთა შორის გამოყოფდით: დიდ შრომის უნარიანობას, კაცობრივ ვარგობას, ანალიტიკურ განჭვრეტას და მისდამი დაკისრებულ საქმის უმნიშვნელო შემსრულებლებს.

მისი ცხოვრების კრედიო მუდამ იყო ღრმად ჩასწვდომოდა პედიატრიული აზროვნების სათავეებს, ამიტომაც მისი სამეცნიერო სფერო მუდამ მეტად ფართო და ღრმა დიაპაზონისა იყო გადახედვით მის სამეცნიერო ნაშრომებს და თქვენ ამასში მალე დარწმუნდებით.

ბატონი იოსები თავის შემოქმედებით გზაზე ყოველი კიბის საფეხურს დინჯად აბიჯებდა და ამიტომაც იშვიათად უხდებოდა წაბორწილება.

იგი ნოვატორული ნიჭით იყო დაჯილდოებული სულ მიღწეულა იქიტკენ, რომ მისი სა-

მოღვაწეო ასპარეზი სხვებისაგან განსხვავებული და უკეთესი ყოფილიყო. ბუნებრივია ასეთ შემოქმედ ადამიანს ყოველთვის გარს ეხვია მრავალი მოწაფე, რომლებსაც უნერგავდა პედიატრიული დარგისადმი დიდ სიყვარულს.

ბატონ სოსოს პყავდა შესანიშნავი მეგობრების წრე და თავისუფალ დროს მათთან ატარებდა. ყოველდღიურად დილით იპოდრომზე ატარებდა გამამხნეველ ვარჯიშებს, სირობილით უვლიდა იპოდრომს ირვლივ.

იგი შესანიშნავი მჭერმეტყველი და კარგი თამადაც იყო, ხშირად ვყოფილვარ მასთან ღხინის სუფრაზე, როდესაც იგი წარმოთქმულ სადღეგღერმელოებში შესანიშნავად ურთავდა ცნობილი პიროვნებების გამონათქვამებს და ლექსებს.

ასეთი მახსოვს ჩემი იოსები კვაჭაძე და სწორედ ამიტომაც მივაბარე მას პედიატრიული დარგის დაუფლებისათვის ჩემი ქალიშვილი, რომელიც მასთან მუშაობდა კათედრაზე ასისტენტად.

ბატონი იოსები კვაჭაძე დაიბადა 1925 წელს. 1946 წელს მან წარჩინებით დაამთავრა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი.

1955 წელს ბატონმა იოსებმა დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია, ხოლო 1970 წ. სადოქტორო, რომელიც შეეხებოდა თანდაყოლილი ტოქსოპლაზმოზის პრობლემას. იმავე წელს მას ანიჭებენ პროფესორის ხარისხს.

1972 წლიდან იოსები კვაჭაძე სიცოცხლის ბოლომდე იყო პოსპიტალური პედიატრიის კათედრის გამგე.

1984 წელს მიენიჭა მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის წოდება.

პროფესორ იოსები კვაჭაძის ხელმძღვანელობით შესრულდა

დიდ ქართველ მამულიშვილს, აწ უკვე მარადისობაში დამკვიდრებულს, ბატონ იოსები კვაჭაძეს დაბადებიდან 85 წელი შეუსრულდა. როგორც ამბობენ კაცთაშორის აღმატებულნი არ კვდებიან, ისინი უბრალოდ ვალმოხდილი წუთი-სოფლიდან საუკუნო სასუფეველში გადადიან, რათა კაცობრიობის სამსახურში იყვნენ ყოველთვის. ადამიანის უკვდავების აზრიც ესაა, რომ მილიონებს შორის იბადებიან გამორჩეულნი, ვისი ღვაწლითაც დღე დამიწაზე პროგრესი ხორციელდება ღრმად მწამს, რომ ბატონი იოსები კვაჭაძე სწორედ ასეთი პიროვნება იყო და მისი სული ახლა აქ ჩვენს გვერდითაა. მე თავს მდაბლად ვხრი ბატონი იოსების სპეტაკი სახელისა და ნათელი მოგონებების წინაშე და მადლობას მოგახსენებ ჩემზე გაწეული დიდი ღვაწლისათვის.

მე და ჩემი მეგობრები, მერი წულაია, მარინე ჩიქოვანი, გაი-

პროფესორ იოსებ კვაჭაძის ბახსენება

ნატრიაშვილი და სხვები სტუდენტურ აუდიტორიაში მისი პირველი მხმენელები ვიყავით. მას შემდეგ თითქმის ოთხი ათწლეული წელი გავიდა, მაგრამ ის ცეცხლი, რომელიც მაშინ ბატონს ქუნაზე იმ პატარა დარ-

ნარისს გამოსვლა. ეს იყო ყველაზე საუკეთესო იმ ლექციათაგან, რომლებიც ჩვენ კორიფეთაგან განვბივრებულეებს მოგვისმენია. ქალბატონი მერი წულაია ხშირად მაშინ ბატონს ხოლმე, ამ გამოსვლის შემდეგ სტუდენტები ამბობდნენ, რომ ბატონი იოსები მოსკოვიდან ჩამობრძანდა და მოსკოვის სკოლის გავლენით იყო ლექცია ასე ბრწყინვალეო. ჩემო სულმნათო მასწავლებლო, გვაპატიე ეს შეცდომა, ბატონი კონსტანტინე აკი მიუთითებს ჩვენს ამგვარ ნაკლზე, რომ ქართველები ყოველთვის საუკეთესოს უცხოთა და საუცხოოს უწოდებენ. სინამდვილეში კი ის ლექცია და მიუღი შემდგომი მოღვაწეობა ჩემი დიდი მასწავლებლისა იყო ქართული თვითმყოფადი სულის ტრიუმფი.

ბატონი იოსები კვაჭაძე ადამიანებს ანცვიფერებს თავისი მოღვაწეობის უნივერსალური



მრავალფეროვნებით. როდესაც ვაანალიზებ მის განვლილ რთულ და საინტერესო გზას, უნებურად მასხენდება გურამ რეულიშვილის უკვადავი ფრაზა „ვნების სიმძაფრე შენებაშია და არა აშენებულთ ტკობაში“, ამიტომ იყო იგი დაუცხრომელი ნოვატორი, შრომა და შემართება, სიძინელებით გაბედული დაუდალავი ჭიდილი, აი მისი პიროვნების საიზიტი ბარათი. იგი იყო თავგანწირული შემოქმედი, მაღალი რანგის მოაზროვნე, მისი გამოჩენა საზოგადოების ჩვეულებრივ ბანალურ საქმესაც ზეიმად აქცევდა, ხოლო შემოქმედები, ლექციები, სამეცნიერო კონფერენციები იყო ტრიუმფალური.

მისი თვალსაწიერის მიღმა არ დარჩენილა თავისი დროის პედიატრიის არცერთი აქტუალური პრობლემა.

როდესაც ჩემი სადისერტაციო ნაშრომის გამო მოსკოვში ვმუშაობდი, მასხენდება როგორც ღრმა პატივისცემით საუბრობდნენ მის შესახებ მისი რუსი კოლეგები: პროფ. სერგეი რაჩინსკი, ვლადიმერ ტატონენკო, ველტიშევი, სტუდენტიანი, ანანუკო, სანკტ-პეტერბურგში იგორ ვორონცოვი და სხვები.

ბატონი იოსები ჩვენთვის, მისი მოწაფეებისთვის, მხოლოდ პედიატრიის მასწავლებელი კი

არაა, გვასწავლიდა მეცნიერული მწვერვლების დაპყრობას. მისთვის არ არსებობდა მეცნიერული დილემა. მიუხედავად საბჭოთა კლინიკის მწირი მატერიალურ-ტექნიკური შესაძლებლობებისა, მოითხოვდა, რომ ჩვენი შრომები ყოფილიყო ისეთი ულტრათანამედროვე კვლევის მეთოდებზე დამყარებული, როგორც მსოფლიოს ელიტარულ სამედიცინო ცენტრებში. მისი ენთუზიაზმი ჩვენც სტიმულს გვაძლევდა და დაკვირვებით სინჯარებით და პისტოლოგიური პრეპარატებით თბილისის, მოსკოვის, ლენინგრადის თუ სხვა წამყვან კლინიკებში. მასსოვს მუკოვისციდოზის პრობლემაზე მაშინ დავიწყეთ მუშაობა როდესაც საბჭოთა კავშირში პირველად გაიქვეყნა ამ ტერმინმა. სამედიცინო საზოგადოება სკეპტიკურად შეხვდა ამ ფაქტს, რადგან თვლიდნენ რომ ეს ფუჭი ძიება იყო. მეც ჩემ სისუსტეს ვადიარებ, როგორ შემძიმებოდა ეს ტვირთი, რამდენჯერ მოთხოვია თემის შეცვლა, მაგრამ უშედეგოდ. მას არ სჩვეოდა უკან დახევა და ჩვენგანაც ამას მოითხოვდა. და როგორ გამომადგა ეს თვისება ცხოვრებაში.

ბატონი იოსებს ჰქონდა დღითობობებული ნიჭი მოყვანის სიყვარულისა. დემოთი ხომ თვითონ სიყვარულია და სწო-

სტუმართმოყვარეობით გვეგებებოდნენ ყოველთვის. უყვარდა თავისი სამშობლო, ზედმიწევნით იცოდა საქართველოს ისტორია და ქართული კულტურა. უყვარდა სტუდენტები, მე-

ლის მოგონება. როდესაც ხევსურეთში მიდიოდნენ მძიმე ავადმყოფების საშველად, უმძიმესმა მეტეოროლოგიურმა პირობებმა მას ამ განზრახვაზე ხელი ვერ ააღებინა.



გობრები, პაციენტები, თანამშრომლები. პატივს მიაგებდა ქართულ ტრადიციებს, სიყვარულით იგონებდა თავის მშობლებს, მასწავლებლებს პედიატრიის კორიფეებს ი. რცხილაძეს, თოხაძეს, მ. ბოკერიას და სხვებს.

მასსოვს როგორი დიდი სიყვარულით ზრუნავდა ქალბატონ ქრისტინა ქუთელიაზე.

იტვირთეთ ერთმანეთის ჯვარი, - გვასწავლის უფალი, და თუცა იმ ეპოქაში ათეისტური სული ზეობდა, ჩემი დიდი მასწავლებელი თავისი მოღვაწეობით იყო ჭეშმარიტი მართლმადიდებელი. მოყვანისთვის ყველაფერს გააკეთებდა. ყველა წინააღმდეგობას გადალახავდა და ჭირში ვუკაცურად დაუდგებოდა მხარში. მას ისე ბუნებრივად მიჰქონდა სხვისი ჯვარი, რომ გვიკვირდა ასე ღაღად ამას როგორ ახერხებდა.

მე მასხენდება მისი განუყრელი მეგობრის, აწ გარდაცვლილი ღვაწლმოსილი ადამიანის ბატონი თამაზ მარინაშვი-

ნისლებში იკარგებოდა გზა, რომელიც პიტალო კლდეებს შორის მიიკლაკნებოდა. იყო მეწვერები და თავზე ხელის აღებას ჰკავდა ეს მგზავრობა.

მანაც წავიდნენ. მოულოდნელად რაღაცა ძალამ შეანერა მანქანა. როდესაც დაბნეული მგზავრები მანქანიდან გადმოვიდნენ მიზეზის დასადგენად, მათგაოცებას საზღვარი არ ჰქონდა. - მანქანა ქარაფის პირას იდგა! გზა უძირო უფსკრულში ინთქმებოდა. მძიმე შთაბეჭდილებამ გამზრახვაზე ხელი ვერ ააღებინა, სხვა გზით ავიდნენ ბარისახოში. ჩვენ მხოლოდ წლების შემდეგ გავიგეთ ამის შესახებ.

მისთვის მოყვანისათვის თავგანწირვა იყო სულიერი მოთხოვნილება და ქართული ხასიათისა და გენის გამოვლინება, რომელიც ამკობდა ცოტნე დადიანს, ჟორდანიას, გრიგოლ ფერაძეს, გურამ რჩეულიშვილს და სხვებსა და სხვებს... და ვინ იცის მომავალში კიდევ ვის სულში გამოვლინდება.

იოსებ კვაჩაძე იყო უვერცხლო მეკურნალი, მას ღია კარის დღეზე გამოკვლეული ჰყავდა 10 000-ზე მეტი პაციენტი.

ჩემი დიდი მასწავლებელი მუღამ სისხლსავსე ცხოვრებით



არ იყო, არამედ ცხოვრების მასწავლებელიც. ის ჩვენთან ერთად შეხაროდა ჩვენს გამარჯვებას და გამხნევებდა დამარცხებისა თუ მწუხარების ჟამს. იგი გვასწავლიდა სიკეთეს, გვიხიარებდა თავის ცხოვრებისეულ და პროფესიულ გამოცდი-

რედ ამ თვისებებით გამოარჩია უფალმა ქართველი კაცი ყველა სხვათაგან. მას უყვარდა თავისი შესანიშნავი ოჯახი-მეუღლე ქალბატონი ნანული, მშვენიერი შვილები - ზაზა, ქეთევანი, ლელა, შვილიშვილები, რომლებიც არახეულებრივი

Жизнь и деятельность профессора Иосифа Квачадзе.

31 октября октября 2010 года исполнилось 85 лет со дня рождения Иосифа Махароблевича Квачадзе, одного из выдающихся представителей грузинской педиатрии, в котором органично сочетались качества опытного клинициста, ученого, руководителя и педагога.

И.М. Квачадзе родился в 1925 году. В 1946 г. с отличием окончил Тбилисский государственный медицинский институт.

В 1955 г. И.М. Квачадзе защищает кандидатскую диссертацию, а в 1970 - докторскую диссертацию, посвященную проблеме токсоплазмоза. В том же году ему присваивают звание профессора.

С 1972 г. до конца жизни профессор И.М. Квачадзе возглавлял кафедру госпитальной педиатрии Тбилисского государственного медицинского университета.

В 1984 г. получил звание заслуженного деятеля науки.

Научные исследования профессора И.М. Квачадзе посвящены изучению этиологии, иммунологии, иммуногенетики, клиники, диагностики и рационального лечения различных заболеваний у детей.

Наряду с этим профессор И.М. Квачадзе интересовался вопросами ревматизма, диффузных болезней соединительной ткани, сепсиса, патологии неонатального периода, врожденных инфекций и др.

Профессор И.М. Квачадзе - автор 300 научных работ, из которых 16 опубликованы за рубежом; в том числе монографии и учебник «Детские болезни», руководство для врачей, педиатров и студентов медвузов.

Под руководством И.М. Квачадзе на кафедре защищено 18 кандидатских и 1 докторская диссертация.

Участник многих международных конгрессов, почетный член Всемирного общества детских врачей, президент ассоциации педиатров Грузии, член редколлегии медицинских журналов - вот не полный перечень его регалий и заслуг.

Скончался профессор И.М. Квачадзе в 1993 году.

Своей жизнью и деятельностью Профессор И.М. Квачадзе внес значительный вклад в развитие отечественной педиатрии

LIFE AND ACTIVITY OF PROFESSOR IOSEB KVACHADZE.

October 31st, 2010 was the 85th anniversary of the birth of Professor Ioseb Kvachadze. He was one of the most famous scientists and pediatrics in Georgia.

Ioseb Kvachadze was born on October 31, 1925 in Georgia.

Having finished the school Ioseb Kvachadze entered the medical faculty of Tbilisi Medical Institute. He graduated from above-mentioned institut in 1946. He began practice, when he was twenty-two years old. The range of Kvachadze's scientific interests and number of his research works are really great.

Professor Ioseb Kvachadze became a Candidate of Medical Sciences in 1955. His thesis for a degree of a Candidate of Medical Sciences entitled «Specific of Gastric Secretion Dystrophic Infants» was defended successfully.

The unique clinical material and profound experience of kongenital perinatal infection were generalized by Ioseb Kvachadze in his scientific work for a degree of a Doctor of Medical Sciences entitled «Congenital Toxoplasmosis» and defended in 1970.

Ioseb Kvachadze was elected a Professor at Department of pediatric hospital of Tbilisi State Medical University in 1970. From 1972 to 1993 he was the Head of Department of hospital pediatric of Tbilisi State Medical University.

In 1984 He became the Honoured Scientist of Georgia.

Professor Ioseb Kvachadze had a wide experience in the clinical practice. His clinical and scientific interests included: general pediatrics, collagen diseases, problems of fetus and neonatal intrauterine infections (chlamidiosis, toxoplasmosis), rheumatic diseases, sepsis, metabolic diseases, malabsorption diseases.

During his career as a doctor, lecturer and scientist Ioseb

Kvachadze managed to publish 300 reports both in Georgia and abroad.

He is the author of 10 monographs and textbook of pediatrics - «Children Diseases».

Under his guidance 18 researchers have successfully defended their candidate and 1 doctor dissertation.

Professor Ioseb Kvachadze was: President of Georgian Association of pediatrics, Vice-President of Georgian Association of rheumatics, Member of Board Association of Pediatrics, - Member of Russian Association of Pediatrics, Member of editorial board of journals.

He died in 1993.

Ioseb Kvachadze was notable for his selfless attitude to his patients, firmness and goodwill in relation to his students, strong love of life, high professionalism, wit and great erudition not only in pediatric, but also in many fields of medicine. He was a prominent Georgian stientist, the founder of modern pediatric at the XX century in Georgia.



2010 წლის 1 ივნისს შედგა სოციალური პედაგოგიის დაცვის ფონდის XXII და საქართველოს ექთანთა II კონფერენცია, სადაც მიღებული იქნა რეზოლუცია (იხ. გვ. 2), რომლის ერთ-ერთი პუნქტი ითვალისწინებდა „საქართველოს ექთანთა ალიანსის“ შექმნას და რომლის შესაბამისად ეცნობა ოფიციალურად თითქმის ყველა იმ არასამთავრობო ორგანიზაციებს, რომლებიც აწარმოებდნენ ექთანთა საქმიანობაზე ზრუნვას საქართველოში.

მდენად, ამჟამად საქართველოს ექთანთა ალიანსის შექმნის შესახებ თანხმობა გამოთქვა შემდეგმა ორგანიზაციებმა:

1. „ექთანთა ასოციაცია“ (ქ. გარსევანიშვილი)
2. საერთაშორისო „საქართველოს ექთნების“ ასოციაცია (ე. კაკაბაძე)
3. სოციალური პედაგოგიის დაცვის ფონდის ექთანთა დეპარტამენტი (ნ. ვაველაშვილი)
4. ევრომეცნიერების საქართველოს

ანონსი - ალა ზაქარია

„საქართველოს ექთანთა ალიანსის“ პრეზენტაცია

ეროვნული სექციის ახალგაზრდული კლუბი (დ. ჩახუნაშვილი)

5. საქართველოს საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის სახელობის მედიცინის ინსტიტუტი (მამა ადამი)

6. საქართველოს ფიზიოთერაპიული რეაბილიტაციისა და მასაჟისტთა ასოციაცია (თ. კობალაძე)

7. საქართველოს პედაგოგთა ასოციაცია (ირ. ციციშვილი)

8. დუდუშაურის სახელობის კლინიკა

9. გ. ჟვანიას სახელობის პედაგოგიული კლინიკა (დ. ფრუიძე)

„საქართველოს ექთანთა ალიანსის“

ძირითადი საქმიანობა წარმოადგენს პროცეს დიპლომირებული, დიპლომის შემდეგ, პროფესიული სწავლებისა და მათი დასაქმების სტრატეგიული საკონსულტაციო და მაკოორდინირებელი ორგანო. ამასთან ერთად ერთ-ერთ ძირითად საქმიანობად იქნება მინერული სკოლამდელ დაწესებულებებში, სკოლებსა და სპორტულ სექციებში, თუ კომპლექსებში ექთანთა - „ფიზიოთერაპევტ“ - რეაბილიტოლოგ - მეთოდისტთა მუშაობის სტრატეგიების შემუშავება.

„საქართველოს ექთანთა ალიანსის“ ძირითადი სტრუქტურა ითვალისწინებს

დამფუძნებლების მიერ შექმნილ მმართველ გამგეობას, შესაბამის დეპარტამენტებს და საკონსულტაციო - მრეწველთა საბჭოს, რომელსაც აირჩევენ ალიანსის წევრები.

ჩვენი თხოვნა იქნება, ვისაც სურვილი ექნება გამოიხატოს დრო და საშუალება; მოგვაწოდოს მასში ხელმძღვანელობის ფორმა (პიროვნული, არასამთავრობო ორგანიზაციით და ა.შ.) რისთვისაც წინასწარ გიხდით დიდ მადლობას.

აქვე აღვნიშნავთ, რომ ა.წ. 3 დეკემბერს ევრომეცნიერების საქართველოს ეროვნული სექცია სხვა არასამთავრობო და სამთავრობო ორგანიზაციებთან ერთად ატარებს მორიგ კონფერენციას თსსუ-ში მიძღვნილი გამოჩენილი ქართველი პედაგოგის იოსებ კვაჭაძის 85 წლისთავთან დაკავშირებით, სადაც I პლენარულ სხდომაზე გვაქვს განზრახული, საქართველოს ექთანთა ალიანსის“ პრეზენტაცია.

წინასწარ დიდი მადლობა.

საორბსმენთა ანთროპომეტრული, ფიზიკური და ფუნქციური მახასიათებლები ამინოჟანგებით გააძიარებული ანერგეტიკული სასმელი „ივერიული-ფიტო“-ს მოქმედების ფონზე

სოციალური პედაგოგიის დაცვის ფონდი, გ. ჟვანიას სახ. პედაგოგიული კლინიკა.

მ.მ.დ. ბ. ჩახუნაშვილი, ნ. ბაღრიასვილი, მ.დ. ნ. თოფურიძე, მ.დ. ნ. ჯობაგა, მ.დ. ზ. შატარაშვილი, მ.მ.დ. კ. ჩახუნაშვილი, ი. კალანდია, ბ. ცხველიასვილი

ორგანიზმის ფიზიკური განვითარება განისაზღვრება როგორც ადამიანის ორგანიზმის მორფოფუნქციური თავისებურებების ცვლილებათა რთული პროცესი. ის ემორჩილება ბიოლოგიურ კანონებს და ასახავს ზრდისა და განვითარების ზოგად კანონზომიერებებს. ვარჯიშის პროცესის ინტენსივობის (2,3) და ორგანიზმის სისტემატიური გადატვირთვა იწვევს სტრუქტურული, ფიზიოლოგიური და სხვა რეზერვების შემცირებას(1,5). დიდი ფიზიკური დატვირთვა გაზრდილ მოთხოვნებს უყენებს ორგანიზმს, სპორტსმენებში დეფიციტური მდგომარეობა იხენს თავს, რასაც შეიძლება თან ახლდეს ფუნქციური რეზერვების ამოწურვა, ადაპტაციის უარყოფითი ეფექტები და ჯანმრთელობის დარღვევა(4,7,9,11). ამდენად, სპორტული მედიცინის უმნიშვნელოვანეს პრობლემას მწვავე და ქრონიკული გადაძაბვა და

მისი პროფილაქტიკა წარმოადგენს. სწორედ ამინოჟანგებითა და ვიტამინებით გაძიარებული სასმელი „ივერიული-ფიტო“ შეიძლება შეასრულოს მნიშვნელოვანი როლი სპორტსმენტა რეაბილიტაციაში ენერჯის აღსადგენად, პოლიდეფიციტური მდგომარეობების, ფიზიკური და გონებრივი გადაღლის დროს (6,8,10).

ამინოჟანგებითა და ვიტამინებით გაძიარებული ენერგეტიკული სასმელი „ივერიული ფიტო“-ს გამოყენება აუმჯობესებს სპორტსმენტა შრომისუნარიანობას, აფართოვებს ადაპტაციური მექანიზმებს სავარჯიშო და საშეჯიბრო პირობებისადმი; აჩქარებს აღდგენით პროცესებს ინტენსიური ფიზიკური დატვირთვის შემდეგ; ამდენად ინტერესს იწვევს ადაპტაციის უარყოფითი ეფექტების თავიდან ასაცილებლად ამინოჟანგებით გაძიარებული სასმელი „ივერიული ფიტო“-ს მოქმედების შესწავლა.

მიზანი: კალაბურთელთა ფუნქციური მდგომარეობის შეფასება მალაღი ფიზიკური დატვირთვის პირობებში და ამინოჟანგებით გაძიარებული სასმელი „ივერიული ფიტო“-ს როლის შესწავლა მოზარდ სპორტსმენტა რეაბილიტაციაში

მახასიათებლები: სამუშაოს საფუძვლად დაედო 12-დან 18 წლამდე ასაკის 100 კალაბურთელი

ფიზიკური განვითარების მანევრების და დატვირთვაზე ადაპტაციის გამოკვლევის შედეგები სასმელი „ივერიული ფიტო“-ს მოქმედების პირობებში.

ჩართვის კრიტერიუმები: დამაკმაყოფილებელი სოციალურ-ეკონომიური პირობები, დამაკმაყოფილებელი და კარგი სპორტული შედეგები.

საკონტროლოდ აღებული იყო იგივე მონაცემების 50 კალაბურთელი, რომელთაც არ ეძლეოდათ აღნიშნული სასმელი.

ჩატარდა რანდომიზებული ღია კონტროლირებადი კვლევა 6 თვის განმავლობაში. სასმელი ივერიული ფიტო ეძლეოდათ დღეში - 0,25 ლიტრი, 3 თვის განმავლობაში.

შესწავლილ იქნა შემდეგი მახასიათებლები: რამდენ დღეს ვარჯიშობს კვირაში, რამდენ საათს ვარჯიშობს დღეში, განწყობა ვარჯიშის შემდეგ, აქვს თუ არა გადაღლა და გადაძაბვა, გულის შეკუმშვათა სისშირე, სუნთქვის შეკერის დრო, ზოგადი მდგომარეობა, სიმაღლე მჯდომარე და ფეხზე დგომისას; წელის, გულმკერდის, მხრების, კიდურების გარშემოწერილობა, პულსი, არტერიული წნევა სისტოლური და დიასტოლური, დატვირთვამდე და დატვირთვის შემდეგ, ამ მანევრების მიხედვით გამოთვლილ იქნა შემდეგი სპორტული ინდექსები: რუფის ინდექსი(ფიზიკური შრომის უნარიანობა), ამტანობის კოეფიციენტი (კვანის ფორმულა), შტანგის სინჯი(სუნთქვის შეკავება ჩახუნაშვილის, გენჩის სინ-



ჯი(სუნთქვის შეკავება ამოსუნთქვისას), საშუალო არტერიული წნევა, სისხლის მიმოქცევის სისტოლური და წუთობრივი მოცულობები (ლილიენსტრადისა და ცანდერის ფორმულები), სისხლის მიმოქცევის ეფექტურობის კოეფიციენტი, კეტლეს ინდექსი(სიმაღლისა და წონის თანფარდობა), მინერალის ინდექსი (სხეულისა და ფეხების სიგრძეთა თანფარდობა), პინიეს ინდექსი.

რაოდენობრივი მანევრების სარწმუნობის შეფასებას ვახდენდით სტიუდენტის კრიტერიუმით (t). ხარისხოვანის χ^2 კრიტერიუმით, ჯგუფებს შორის შედარებას Pearson-ით. განსხვავება ითვლებოდა სასწმუნოდ, თუ $t > 1.96$ $p < 0.05$ და $\chi^2 > 3.84$, $p < 0.05$ (10,11). მათემატიკური უზრუნველყოფა განხორციელდა პროგრამების პაკეტის SPSS 11-5-ის გამოყენებით.

კვლევის შედეგები და მათი განხილვა:



კვლევის პირველ ეტაპზე შევისწავლეთ კალათბურთელთა ანთროპომეტრული, ფიზიკური და ფუნქციური მახასიათებლები სასმელი „ივერიული ფიტოს“ მოქმედების ფონზე, სასმელის მიღებაზე და მიღებიდან 3 თვის შემდეგ (ცხრილი №1)

სასმელის „ივერიული ფიტოს“ მიღების შემდეგ აღინიშნა სხეულის წონის; სიმაღლის; მხრის და გულმკერდის საგიტალური და ფორნტალური დიამეტრის სარწმუნო მომატება.

ასევე სარწმუნოდ გაუმჯობესდა ფიზიკური და ფუნქციური მახვევებები.

სასმელის მიღების შემდეგ ადგილი ჰქონდა სუნთქვის სისხირის და პულსური წნევის მომატებას; აგრეთვე დატვირთვის შემდეგ გულის შეკუმშვათა სისხირის, საშუალო წნევის შემცირებას; გარდა ამისა გაუმჯობესდა ისეთი ფუნქციური მონაცემები როგორცაა სუნთქვითი ინდექსები (შტანგეს სინჯი; გენის სინჯი) რუფიეს ინდექსი, ამტანობის კოეფიციენტი, სისხლის მიმოქცევის სისტოლური და ლუტობრივი მოცულობები (ლილიენსტრადისა და ცანდერის ფორმულები), გაუარესდა სისხლის მიმოქცევის ეფექტურობის კოეფიციენტი.

იგივე მახვევებების შედარებამ საკონტროლო ჯგუფში (რომელსაც არ ეძლეოდა სასმელი „ივერიული ფიტოს“) 3 თვის შემდეგ არსებითი განსხვავება არ მოგვეცა (ცხრილი №2)

3 თვის შემდეგ იმ ჯგუფში, რომელსაც არ ეძლეოდა სასმელი, წონის, სიმაღლის, მხრის და გულმკერდის დიამეტრის, მხრის და წინამხრის გარშემოწერილობის მახვევებების მიხედვით რაიმე მკვეთრი ცვლილება (სარწმუნო მატება) არ აღინიშნებოდა, სასმელი „ივერიული ფიტოს“ ჯგუფისაგან განსხვავებით გაიზარდა მხოლოდ დატვირთვის შემდეგ სუნთქვის და პულსის სისხირეები.

დასკვნები: 1. ჯგუფში, რომელსაც არ ეძლეოდა სასმელი, ანთროპომეტრული მახვევებების მიხედვით რაიმე მკვეთრი ცვლილება (სარწმუნო მატება) არ აღინიშნებოდა, გაიზარდა მხოლოდ დატვირთვის შემდეგ სუნთქვის და პულსის სისხირეები.

2. სასმელი „ივერიული ფიტოს“-ს მიღების შემდეგ ადგი-



4. Граевская Н.Д. Динамика некоторых показателей экг в процессе многолетней тренировки спортсменов - В кн. Методы исследования в спортивной медицине. М. 2004.

5. Платонов В.Н. Общая теория подготовки спортсменов в олимпийском спорте. К. 2007.

6. Тайболина Л.А. Адаптация сердечной мышцы на различных этапах спортивного совершенства// Международный конгресс ФКС в Польше, 2002.

7. Каражанов Б.К. Медико-биологические и психологические особенности спортивной борьбы, Алма-Ата, 2005.

8. Яценко А. Адаптация сердечно-сосудистой системы высококвалифицированных спортсменов к тренировочным нагрузкам различной направленности. Физиологичний журнал т.48.-№2.-2002.



არტერიული წნევა, სისხლის მიმოქცევის სისტოლური და ლუტობრივი მოცულობები, ამტანობის კოეფიციენტი.

4. სასმელი „ივერიული ფიტოს“-ს გამოყენება აუქმობსებს



სპორტსმენტთა შრომისუნარიანობას, აფართოვებს ადაპტაციური მექანიზმებს საგარჯიშო სასაშუალო პირობებისაგან; ანკარებს აღდგენით პროცესებს ინტენსიური ფიზიკური დატვირთვის შემდეგ;

ლიტერატურა: 1. Меерсон Ф.З. Феномен адаптационной стабилизаци структуры и защита сердца. М. 1998. 2. Дембо А.Г., Земцовский Э.В. Спортивная кардиология, М.-И. -2004. 3. Амосов Н.М. и Бендет Я.А. Физическая активность и сердце, К. 2004.

датель читателя медицинской литературы – Принципы клинической практики, основанной на доказанном. Издательство.Медия Сфера. –М. 2003

Assessment of Anthropological, Physical and Functional Indices in Sportsmen Receiving Amino Acid Rich Beverage “Iveriuli Phyto” During the Training K. Chakhunashvili MD, N. Jobava, MD, N. Badriashvili MD, N. Topuridze, MD, Z. Shakarashvili, MD, G. Chakhunashvili, MD. I. kalandia; G. Tskhvediasvili ; Social Pediatrics Protection Fund, Pediatric Clinic of G. Jvania

Objective of the work: amino acid, mineral and vitamin rich natural energetic beverage “Iveriuli-phyto” and study its role in sportsmen rehabilitation considering the initial health indices.

Materials and methods: We conducted medical examination of cardiovascular system in 12 to 18 years old 100 sportsmens players under physical load. We conducted randomized control study during which study group were provided 0.25 liter beverage “Iveriuli phyto” a day during three months period, while control group

with the same health parameters were provided with placebo drink. Data was entered and analyzed in statistical software SPSS 11-5, Student criteria and chi-square was identified.

Conclusion: 1. Medical examination and comparison of heart cycle parameters before and after physical load identified low physical adaptation ability in the both study groups of the sportsmen.

2. Medical examination identified that in sportsmen drinking beverage “Iveriuli Phyto” had better physical parameters then in control group sportsmen.

3. Use of beverage “Iveriuli Phyto” in sportsmen was found to improve work ability, adaptation mechanisms for trainings and contest by helping restoring processes during intensive physical load.

კალათბურთელთა ანთროპომეტრული, ფიზიკური და ფუნქციური მახვევებების შედარებითი ანალიზი „ივერიული ფიტოს“ მიღების ფონზე

ცხრილი №1

Table with 10 columns: მახვევებები, სასმელის მიღებამდე (მაქსიმუმი, მინიმუმი, საშუალო), სასმელის მიღების შემდეგ (მაქსიმუმი, მინიმუმი, საშუალო), t, p. Rows include various physiological and anthropometric measurements like სხეულის წონა, სიმაღლე, სისხლბუცის წნევა, etc.

კალათბურთელთა ანთროპომეტრული, ფიზიკური და ფუნქციური მახვევებების შედარებითი ანალიზი საკონტროლო ჯგუფში

ცხრილი №2

Table with 10 columns: მახვევებები, პირველადი გამოკვლევა (მაქსიმუმი, მინიმუმი, საშუალო), 3 თვის შემდეგ (მაქსიმუმი, მინიმუმი, საშუალო), t, p. Rows include various physiological and anthropometric measurements similar to Table 1.

საქართველოს ბავშვთა კარდიოლოგთა ასოციაცია
Georgian Children's Cardiologists Association



CAC

SOS!

დროულად ავიცილოთ თავიდან კარდიალური რისკი ახალგაზრდასა და მოზარდაში

საქართველოს ბავშვთა კარდიოლოგთა ასოციაციის სარეკომენდაციო ბარათი:

ბავშვთა და მოზარდთა პრევენციული კარდიოლოგიის განვითარებისათვის აუცილებელია თითოეული ოჯახისათვის გათვითმობილებული იყოს ექიმის გარდა, მათი პირადი პასუხისმგებლობა, რაც მდგომარეობს შემდეგში: სასურველია წელიწადში ერთხელ ბავშვისთვის მინიმუმ ელექტროკარდიოგრაფიული (ე.კ.გ.) გამოკვლევა (მითუმეტეს თუ ოჯახში დატვირთული ანამნეზია: გულის იშემიური დაავადება, პიპერტენზია, ათეროსკლეროზი, შაქრიანი დიაბეტი და ა.შ).

აუცილებელია - წელიწადში ორჯერ ე.კ.გ. კვლევა სტაციონარში თერაპიული თუ ქირურგიული პროფილით ნამკურნალევი ბავშვებისათვის.

აუცილებელია ტრენილექტომიის 2,5 თვის შემდეგ კვლევა გულის-ხლძარღვთა სისტემის მხრივ, კარდიოლოგის კონსულტაციით და ა.შ. შეუძლებელია ერთ სარეკომენდაციო წერილში ყველა იმ პრობლემურ საკითხზე საუბარი, რომლის წინაშეც ჩვენ ვდგებით და ამიტომ, საქართველოს ბავშვთა კარდიოლოგთა ასოციაცია მზადაა პასუხი გასცეს მშობელთა და არამარტო მშობელთა ყველა სასურველ შეკითხვებს.

მოდიეთ ერთად ვიზრუნოთ ჩვენს მომავალზე.

კეთილი სურვილებით,

საქართველოს ბავშვთა კარდიოლოგთა ასოციაციის პრეზიდენტი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, აკადემიკოსი გ. ჩახუნაშვილი

ორთოქედითი კოოსაი
(პედიატრულ პრევენციასთან) **სერსემლის უსაანდარი**

- სერსემლის გამრუდავის პროფილაქტიკისათვის;
- დაღლილობის მოსხინათვის;
- რაკოვადირაგულია ყველა სახის 6-დან 25 წლამდე.

უსაანდარის დანიშნულება:

სკოლამდელი ბავშვებისათვის ხერხემლის პროფილაქტიკისათვის;

დაღლილობის მოსახსნელად.

ჩატვის წესი

1. ესპანდერი უნდა იყოს მორგებული თეთრეულის ზემოთ.
2. მარყუჟებში ხელების გაყრის შემდეგ გაასწოროთ რეზინები მხრებზე.
3. ესპანდერი ითვლება სწორედ მორგებულად, თუ ჩატვის შემდეგ მომხმარებელი გრძობს რეზინის დაჭიმვის ძალას.

ექსპლუატაციის ვადა 6 თვეა.

ესპანდერის ტარების დროს თქვენ დაზღვეული ხართ მოხრილობისგან.

ესპანდერი მიზანშეწონილია ბავშვებისათვის 6-14 წლამდე.

მოზრდილებისათვის, იმ პიროვნებისათვის, ვისი სამსახურიც მუდომიარე ხასიათს ატარებს.

ესპანდერი მუდმივად აიძულებს ადამიანს გაიმართოს ხერხემალში და გაშალოს მხრები.

ესპანდერი მოკლე ხანში გახდება თქვენი განუყოფელი მეგობარი.

(დამზადებულია „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მენარმეთა დასაქმების კავშირის“ მიერ.)

G I C

საქართველო-გერმანიის ერთობლივი შპს GIC არის საქართველოს პრემიერ-მინისტრთან არსებული ბიზნეს საბჭოს წევრი 2005 წლის აპრილიდან. აღნიშნული კომპანიის საქმიანობის მიმართულებებია:

სანიტარულ-ჰიგიენური საშუალებების დამზადება და დისტრიბუცია

- სადერატიზაციო;
- სადეზინფექციო;
- სადეზინსექციო;
- სანარმოო, საყოფაცხოვრებო და სამედიცინო.

მთავარი რედაქტორი: გ. ჩახუნაშვილი
 მოაღბილე: თ. მიქელაძე
 სარედაქციო საბჭო: - ნ. მარინაშვილი, გ. არველაძე, ნ. ბადრიაშვილი, ნ. თოფურაძე, დ. ჩახუნაშვილი, გ. ჩახუნაშვილი, ქ. ნეფარიძე.

მს. 20918243-002-2010

იფანი-1

აკიპური

ინფორმაციული ლიტერატურა 10მპრ პროდუქციამ 230 აჯალ ჩახუნაშვილები 47,4 გილბი 7,9 გილბი 1

შემაფენლობა: ხორხლის 1 ხარისხის დევილი, პიუიტი(დევირის პროდუქციების წამაი) საუფარი, შარლი

შენახვის ვადა 48 ხაათი

500გრ - 3%

მის: თბილისი, დიღმის მასივი, იპვარტალი, ქ. ჩალაქის ქუჩა. ტელ: 53-13-71, 8.99-62-10-02

APIT VIT აპივიტი 60 გრამები

APICOR აპიკორი 60 გრამები

APIPULMO აპიპულმო 60 გრამები

APIHEPAT აპიჰეპატი 60 გრამები

ერთერთი ქართული ქართული პრეპარატი

GA-40

ANTICANCEROGENIC AND IMMUNOTHERAPEUTIC AGENT

GA-40 წარმოადგენს პოლიპეპტიდების კომპლექსს რომელიც მიღებულია ეკოლოგიურად სუფთა ბუნებრივი მცენარეული ნედლეულისაგან.

GA-40 გამოირჩევა:

- * ორგანიზმზე უსაფრთხო მოქმედებით
- * ორგანიზმში არსებულ სიმსივნურ წარმონაქმნებზე ორმაგი მოქმედებით: პირდაპირ - მანეროზირებული და არა პირდაპირი - ანტისიმსივნური იმუნიტეტის აქტივაციით.

* იმუნოკორექციის უნარით, რაც განსაზღვრავს მის ფართო სპექტრით წარმატებით გამოყენებას სხვადასხვა დაავადებების სამკურნალოდ.

დამტკიცებულია საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ფარმაკოლოგიური კომიტეტის, წამლისა და ფარმაცევტული საქმიანობის დეპარტამენტის მიერ.

რეგისტრაცია MP №003008 პატენტი P 2256

იმუნოკააბილიტაციისათვის საკონსულტაციო სპეციალური მიმართულებით:

ბავშვთათვის

თ.ს.ს.უ გ. ფვანას სახ. პედიატრიული კლინიკის იმუნოგენეტიკური პროგნოზირების ლაბორატორია ტელ: 52-80-74

მოზრდილთათვის

საკონსულტაციო-სამკურნალო პროფილაქტიკური ცენტრი. ტელ: 877 43-44-94

მისამართი: ლუბლიანას ქ. 21 ტელ.: 52-80-74 www.sppf.info

გასაყიდად არ გაგრცელებია